ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7354100

ნომერი: AR11073726

თარიღი : 16.01.2025

გაცემის თარიღი : 23.01.2025

გაცნობის თარიღი : 23.01.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა მაღლაკელიძე პ/ნ 01011083795
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი 19, ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 16 იანვრის №AR11073726 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 16 იანვარს №AR11073726 განცხადებით მომართა საბა მაღლაკელიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 9

ოქტომბრის №7246985 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 ოქტომბრის №7246985 ბრძანებით №01.19.26.004.223 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საამქრო/სტამბის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 9 ოქტომბრიდან 2026 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 ოქტომბრის №7246985 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, ვინაიდან შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად არის დაფიქსირებული ღერძებს შორის მანძილები და ფასადის სიგანე. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული გეგმების ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ ღერძებს შორის მანძილთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორება შესაძლებელია. თუმცა, რაც შეეხება, ფასადის სიგანის ცვლილებას, აღნიშნული შეთანხმებული დოკუმენტაციის, მათ შორის ვექტორული ფაილის მიხედვით, სწორად არის დაფიქსირებული. შესაბამისად, მისი ცვლილება არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს და საჭიროა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სამსახურის 2024 წლის 9 ოქტომბრის №7246985 ბრძანებით შეთანხმებული მხოლოდ არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები ღერძებს შორის მანძილების გასწორებით და სხვა ცვლილებების გარეშე (მათ შორის ფასადის სიგანის).
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2025 წლის 16 იანვრის №AR11073726 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.